დანართი 2

შპს უსაფრთხოების აკადემია

<u>დამტკიცებულია:</u>

კოლეჯის საბჭოს თავმჯდომარე:

დავით მაზმიშვილი

08/02/ 2024 წ.

სტრატეგიული განვითარების გეგმა

2024-2031

თბილისი 2024

შესავალი

კოლეჯი „შპს უსაფრთხოების აკადემია“ (შემდგომში - კოლეჯი) წარმოადგენს განათლების ხარისხზე ორიენტირებულ დაწესებულებას, რომელიც მიზნად ისახავს, თანამედროვე გამოწვევების პირობებში ჩამოყალიბდეს მაღალი სტანდარტების მქონე, შრომის უსაფრთხოების პროფილის, საგანმანათლებლო ცენტრად და კვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადების გზით წვლილი შეიტანოს სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.

კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმაში (2024-2031) ასახულია კოლეჯის მისია/ხედვა/ღირებულებები/მიზნებზე დაფუძნებული განვითარების პრიორიტეტები 7-წლიან პერიოდში. წინამდებარე გეგმა აჩვენებს კოლეჯის მიზნებს და მათი მიღწევის გზებს მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენების გზით.

სტრატეგიული განვითარების გეგმაში მოცემულია კოლეჯის განვითარების შესაძლებლობები და რისკ-ფაქტორები.

სტრატეგიული განვითარების გეგმით დასახულია საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესისა და კოლეჯის სხვა ფუნქციების ეფექტიანად განხორციელების გზები, განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნების მიღწევის ვადა და მექანიზმი.

1. კოლეჯის მისია, მიზანი და ხედვა

1.1 მისია

კოლეჯი „შპს უსაფრთხოების აკადემია“ უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლის ძალისხმევა მიმართულია: უზრუნველყოს შრომის ბაზარზე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების დეფიციტის დაძლევა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება; განუვითაროს სტუდენტს კრიტიკული, ინოვაციური და შრომი უსაფრთხოების დაცვაზე ორიენტირებული აზროვნება, რაც სახელმწიფოს და საზოგადოების განვითარებასა და შრომის უსაფრთხოების კულტურის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია; მოახდინოს კოლეჯის ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია; საგანმანათლებლო პროცესში გადასცეს სტუდენტს მტკიცებულებებით გამყარებული ინფორმაცია და შექმნას ახალი ცოდნა; მოამზადოს სტუდენტი მაღალი პროფესიული პასუხისმგებლობისთვის. სწავლების პროცესი წარმართოს განსაკუთრებული აქცენტით შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში შრომის უსაფრთხოების კულტურის ჩამოყალიბებასა, გაძლიერებასა და განმტკიცებას.

1.2 მიზანი

კოლეჯის მიზანია თანამედროვე გლობალური გამოწვევების პირობებში და ჩვენი ქვეყნის მიერ გაცხადებული ევროინტეგრაციის პროცესში ჩამოყალიბდეს მაღალი სტანდარტების მქონე, პროფესიული შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის სწავლებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო ცენტრად, საზოგადოებას შესთავაზოს მოწინავე სასწავლო მომსახურება და წვლილი შეიტანოს კვალიფიციური, შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე ორიენტირებული, პროფესიული კადრების მომზადების საქმეში.

1.3 ხედვა

კოლეჯი „შპს უსაფრთხოების აკადემია“ წარმოადგენს ხარისხზე ორიენტირებულ და ღია საგანმანათლებლო სივრცეს, რომელიც გლობალურ და ეროვნულ გამოწვევებს პასუხობს სწავლების ინოვაციური მეთოდებით, აქტუალური საგანმანათლებლო პროგრამებით და მოწინავე საგანმანათლებლო სერვისებით, შრომის უსაფრთხოების ყველა არსებული საკანონმდებლო ნორმების დაცვით და უსაფრთხოების კულტურაზე აქცენტირებით, რითაც წვლილი შეაქვს სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.

2. ღირებულებები და პრინციპები

2. 1. კოლეჯი იზიარებს რა აკადემიური თავისუფლების ძირითად პრინციპებს, მხარს უჭერს კრიტიკულ, ინოვაციურ და შემოქმედებით აზროვნებას;

2. 2. საქმიანობს რა მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობის და უწყვეტი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, ქმნის კოლეჯის საზოგადოებისთვის (განურჩევლად ეროვნებისა, მრწამსისა, სქესისა, შესაძლებლობებისა და სხვ.) თვითრეალიზაციის თანასწორ პირობებს;
2. 3. უწყვეტად ახორციელებს საკუთარი საქმიანობის შეფასებას, გაუმჯობესებას და ხარისხის უზრუნველყოფას;
2. 4. აცნობიერებს საკუთარ საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას და აქტიურად არის ჩართული სამოქალაქო აქტივობებში;
2. 5. აღიარებს რა კორპორატიულ კულტურას, ეწევა კოლეგიალობაზე, გუნდურ მუშაობასა და ადამიანის უფლებების პატივისცემაზე დაფუძნებულ საქმიანობას.
2. 6. იცავს საქართველოს შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებულ ყველა საკანონმდებლო მოთხოვნას და აყალიბებს შრომის უსაფრთხოების კულტურას მისი ფუნქციონირების სფეროში.

3. ღირებულებები და პრინციპები

3.1. კოლეჯი იზიარებს რა აკადემიური თავისუფლების ძირითად პრინციპებს, მხარს უჭერს კრიტიკულ, ინოვაციურ და შემოქმედებით აზროვნებას;
3.2. საქმიანობს რა მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობის და უწყვეტი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, ქმნის კოლეჯის საზოგადოებისთვის (განურჩევლად ეროვნებისა, მრწამსისა, სქესისა, შესაძლებლობებისა და სხვ.) თვითრეალიზაციის თანასწორ პირობებს;
3.3. უწყვეტად ახორციელებს საკუთარი საქმიანობის შეფასებას, გაუმჯობესებას და ხარისხის უზრუნველყოფას მისი ფუნქციონირების სფეროში;
3.4. აცნობიერებს საკუთარ საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას და აქტიურად არის ჩართული სამოქალაქო აქტივობებში;
3.5. მისდევს რა კორპორატიულ კულტურას, ეწევა კოლეგიალურობაზე, გუნდურ მუშაობასა და ადამიანის უფლებების პატივისცემაზე დაფუძნებული საქმიანობა.
3.6. აღიარებს რა კონსტიტუციით გარანტირებულ უსაფრთხო სწავლის თუ მუშაობის უფლებას ქმნის უაფრთხო გარემოს დასაქმებულთა და სხვა პირებისთვის.

4. ჩართული მხარეების ანალიზი

კოლეჯი საქმიანობას ახორციელებს საგანმანათლებლო ფუნქციაში ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობით და პარტნიორულ ურთიერთობებს ამყარებს ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე. ნაყოფიერად თანამშრომლობს როგორც სამთავრობო, ისე

არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კურსდამთავრებულებთან და მასმედიასთან. კოლეჯი მნიშვნელოვნად განიხილავს თანამშრომლობას ბიზნეს-სექტორთან და პროფესიულ გაერთიანებებთან - მათი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში ჩართულობის, სასწავლო პრაქტიკის ორგანიზების, სტუდენტთან და კურსდამთავრებულთა დასაქმების და სხვა პროექტების განხორციელების მიზნით. სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით კოლეჯი თანამშრომლობს სპორტულ, კულტურულ, სამოქალაქო ინიციატივებისა და სხვა ორგანიზაციებთან. კოლეჯი სრულად აცნობიერებს საგანმანათლებლო პასუხისმგებლობას სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე და ორიენტირებულია უწყვეტ განვითარებაზე, რაც ასახულია სტრატეგიული განვითარების გეგმაში.

5. SWOT ანალიზი

5.1 ძლიერი მხარეები

5.1.1. შრომის ბაზარზე მოთხოვნადი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც პასუხობს ქვექნის წინაშე მდგარ გამოწვევებს;
5.1.2. შპს უსაფრთხოების აკადმეიის გამოცდილება აკრედიტებული შრომის უსაფრთხოების პროგრამების განხორციელების კუთხით;
5.1.3. სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობა;
5.1.4. პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამის წარმოების გამოცდილება;
5.1.5. მართვის გამჭვირვალე და ეფექტიანი სისტემა;
5.1.6. სტუდენტთა სასწავლო, სპორტული და შემოქმედებითი აქტივობების მხარდამჭერი პოლიტიკა;
5.1.7. კოლეჯის ხელსაყრელი მდებარეობა და მისაწვდომობა საზოგადოებრივი ტრანსპორტით;
5.1.8. თანამედროვე ადაპტირებული ინფრასტრუქტურა (მისაწვდომობის სტანდარტის შესაბამისად);
5.1.9. სტაბილური ფინანსური რესურსი;
5.1.10. სწავლების პროცესის წარმოების გამოცდილების მქონე მაღალკვალიფიციური აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი;
5.1.11. სასწავლო და ადმინისტრაციული ფუნქციონირებისთვის საჭირო თანამედროვე ტექნოლოგიები და ტექნიკური საშუალებები;
5.1.12. პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგ-ცენტრი ყველა საჭირო აღჭურვიობით და საშუალებებით;

5.2. სუსტი მხარეები

5.2.1. გასაძლიერებელია კვლევითი კომპონენტის ინტეგრირება საგანმანათლებლო პროგრამაში;

5.2.2. გასაფართოვებელია სტრატეგიულ პარტნიორთა (მათ შორის - საერთაშორისო) წრე;

5.2.3. დასანერგია უცხოენოვანი პროგრამები.

5.3 განვითარების შესაძლებლობები

5.3.1. ავტორიზაციის წარმატებით გავლა და ახალი აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების (მათ შორის - უცხოენოვანი) დანერგვა;

5.3.2. საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება და საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრირება;

5.3.3. ბიზნესპარტნიორებთან მოლაპარაკებების გაშლა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მიზნით;

5.3.4. პროგრამების მოდერნიზება შრომის ბაზრისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით;

5.3.5. საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვება საგანმანათლებლო პროგრამებისთვის;

5.3.6. კვლევის კომპონენტის განვითარება და შიდა საგრანტო დაფინანსების სისტემის დანერგვა;

5.3.7. ადგილობრივ და საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრებთან თანამშრომლობის გაფართოვება;

5.3.8. კოლეჯის ცნობადობის ამაღლების მიზნით სხვადასხვა ფორმატის საინფორმაციო სტრატეგიების შემუშავება;

5.3.9. კოლეჯის განვითარების მიზნით კურსდამთავრებულთა ინტეგრირების ხელშეწყობა;

5.3.10. კოლეჯის ინფრასტრუქტურის გაზრდა და განვითარება.

5.3.11. საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანიზაციის ISO-9001 ხარისხის სტანდარტის მოპოვება;

5.3.12. სასწავლო პროცესის მხარდამჭერი აიტი-პროგრამების შექმნა ონლაინ სატრენინგო ცოდნის გაღრმავების პროგრამების სახით.

5.4 რისკები და საფრთხეები

5.4.1. გლობალური პოლიტიკურ-ეკონომიკური ძვრები და მათი შედეგები;
5.4.2. ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები;
5.4.3. საქმიანობა სახელმწიფო განათლების სისტემის რეფორმირების პერიოდში.

6. სტრატეგიული მიმართულებები

საკუთარი შესაძლებლობების და საგანმანათლებლო სივრცეში არსებული გამოწვევების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა კოლეჯის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები 2024-2031 წლებისათვის:

6.1. თანამედროვე ინფრასტრუქტურით, ინფორმაციული ტექნოლოგიებით და სასწავლო რესურსით უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო გარემოს განვითარება.
6.2. შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;
6.3. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარება;
6.4. კოლეჯის საზოგადოებაზე (სტუდენტები, პერსონალი) მიმართული სერვისების განვითარება;
6.5. საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება;
6.6. ეფექტური და გამჭვირვალე მმართველობის სისტემის განვითარება.

6.7. დამსაქმებლებთან პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება და დასაქმების ხელშემწყობი მექანიზმების დანერგვა.

7. სტრატეგიული განვითარების გეგმა 2024-2031

სტრატეგიული გეგმა მოიცავს ინ სტრატეგიულ ამოცანებს რომლებიც დასახულია სამოქმედო გეგმის პერიოდზე და ასევე მოიცავს მოსალოდნელ შედეგებს როლებსაც უნდა მივაღწიოთ მოცემული ერთი წლის განმავლობაში.

N	სტრატეგიული ამოცანა	მოსალოდნელი შედეგები
1	**მიზანი:** თანამედროვე ინფრასტრუქტურით, ინფორმაციული ტექნოლოგიებით და სასწავლო რესურსით უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო გარემოს განვითარება. **მიზნის მიღწევის გზები:** 1.1. მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვა;	კოლეჯს აქვს კომფორტული, ადაპტირებული, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისი და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო და სამუშაო გარემო. დანერგილია და ფუნქციონირებს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მართვის ოპერატიული ელექტრონული სისტემა.

	1.2. სასწავლო აუდიტორიების განახლება მ.შ. თანამედროვე ტექნოლოგიებით; 1.3. ელექტრონული სალექციო კურსების შექმნა; 1.4. ბიბლიოთეკის განახლება; 1.5. სტუდენტთა დამოუკიდებელი სამუშაო სივრცის განახლება თანამედროვე ტექნოლოგიებით; 1.6. რეკრეაციული ზონის მოწყობა; 1.7. კაფეს მოწყობა; 1.8. სპორტული, ტურისტული და შემოქმედებითი ღონისძიებების განვითარება; 1.9. ადაპტირებული სასწავლო გარემოს განვითარება.	კოლეჯს აქვს სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი მოდერნიზებული სივრცე და განახლებული ციფრული ბიბლიოთეკა. კოლეჯში ფუნქციონირებს კოლეჯის საზოგადოების (სტუდენტები, პერსონალი) თავისუფალი დროის ორგანიზების და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშემწყობი სპორტული, ტურისტული და კულტურული კომპონენტი. კოლეჯი წარმოდგენილია გაფართოვებული, განახლებული და კეთილმოწყობილი ინფრასტუქტურით.
2	**მიზანი:** შრომის ბაზარზე მოთხოვნადი შრომის უსაფრთხოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება **მიზნის მიღწევის გზები:** 2.1. შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია; 2.2. მაღალი რისკის და სხვა რისკ კატეგორიების საწარმოო პროცესთან დაკავშირებული შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და აკრედიტაცია; 2.3. მაღალი ხელმძღვანელი რგოლის მხრიდან შრომის უსაფრთხოების ორგანიზება და მართვის სასერტიფიკატო პროგრამის შემუშავება და აკრედიტაცია.	კოლეჯში ფუნქციონირებს შრომის ბაზარზე მაღალმოთხოვნადი შრომის უსაფთხოების აკრედიტებული პროგრამები. კოლეჯი ახორციელებს მაღალი რისკის და სხვა რისკ კატეგორიების შრომით პროცესთან დაკავშირებული შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო პროგრამას. კოლეჯი ახორციელებს ხელმძღვანელი რგოლისთვის შრომის უსაფრთხოების ორგანიზება და მართვის სასერტიფიკატო აკრედიტებულ პროგრამას. ფართოვდება კოლეჯის საგანამანათლებლო შესაძლებლობები.
	მიზანი: ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარება. **მიზნის მიღწევის გზები:** 3.1. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების სრულყოფა;	კოლეჯს აქვს სრულყოფაზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. კოლეჯში დანერგილია სწავლების თანამედროვე მეთოდები. ამოქმედებულია სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემა და

3	3.2. საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის სრულყოფა; 3.3. პერსონალის უწყვეტი განათლების უზრუნველყოფა სწავლებისა და კვლევის თანამედროვე მეთოდების, სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების მეთოდების და სხვ. საკითხებზე; 3.4 საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტების შესწავლა, საგანმანათლებლო პროგრამების მასთან შესაბამისობაში მოყვანა და წარდგენა საერთაშორისო აკრედიტაციაზე; 3.5. თვითშეფასების პროცესის სრულყოფა და მასში ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობის უზრუნველყოფა; 3.6. ელექტრონული სასწავლო რესურსების შექმნა და სასწავლო პროცესში ინტეგრაცია; 3.7. დისტანციური საგანმანათლებლო სასწავლო კურსების შექმნა; 3.8. თანამედროვე საგანმანათლებლო მეთოდების მხარდაჭერა (სიმულაციებისა და ვირტუალური მოდელების გამოყენება); 3.9. სადიპლომო და სხვა ნაშრომების პლაგიატის წინააღმდეგ მექანიზმების განვითარება.	დანერგილია დისტანციური სასწავლო კურსები. კოლეჯი ფლობს თანამედროვე საგანმანათლებლო მეთოდებს (სიმულაციებისა და ვირტუალური მოდელების გამოყენება). ამოქმედებულია საერთაშორისო დონეზე აკრედიტებული უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა/ები. კოლეჯის პერსონალისთვის განვითარებულია უწყვეტი განათლების სისტემა. კოლეჯში დანერგილია ნაშრომის პლაგიატის საწინააღმდეგო მექანიზმები.
4	**მიზანი:** 4. კოლეჯის საზოგადოებაზე (სტუდენტები, პერსონალი) მიმართული სერვისების განვითარება; **მიზნის მიღწევის გზები:** 4.1. საინფორმაციო-ელექტრონული სერვისის დანერგვა და განვითარება; 4.2. სტუდენტთა სერვისების საჭიროების შესწავლა, ასეთი სერვისების განვითარების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა.	კოლეჯში ფუნქციონირებს მოქნილი საინფორმაციო-ელექტრონული სისტემა. კოლეჯში ფუნქციონირებს კოლეჯის საზოგადოების (სტუდენტები, პერსონალი) სერვისის სისტემა. კოლეჯში მიღწეულია კურსდამთავრებულთა ინტეგრაცია და ფუნქციონირებს კურსდამთავრებულთა კლუბი.

	4.3. კურსდამთავრებულთა ინტეგრაციის ხელშემწყობი კლუბის შექმნა და განვითარება.	
5	**მიზანი:** საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება. **მიზნის მიღწევის გზები:** 5.1. საგანმანათლებლო პროცესსა და საგანმანათლებლო პროგრამებში საერთაშორისო კომპონენტის განვითარების პოლიტიკის შემუშავება; 5.2. სასწავლო პროგრამებში უცხო ენის სწავლების გაძლიერება; 5.3. პერსონალის უწყვეტი განათლების კომპონენტში უცხო ენის სწავლების გაძლიერება; 5.4. ახალი კონტაქტების დამყარება და საერთაშორისო პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაფართოვება; 5.5. უცხოელი მასწავლებლების (ტრენერების) მოწვევა; 5.6. სტუდენტთა და თანამშრომელთა საერთაშორისო აქტივობების ხელშეწყობა; 5.7. უცხოენოვანი სასწავლო პროგრამების შემუშავება და აკრედიტირება;	კოლეჯში მოქმედებს საგანმანათლებლო ფუნქციონირების საერთაშორისო კომპონენტი. კოლეჯში ფუნქციონირებს უცხო ენის კომპეტენციის განვითარების პოლიტიკა და ქმედითი მექანიზმი. კოლეჯი ავითარებს სტუდენტთა ენობრივ უნარებს, რითაც მათ, როგორც სტუდენტებს და როგორც მომავალ პროფესიონალებს, გზას უხსნის საერთაშორისო ასპარეზზე. კოლეჯი ავითარებს პერსონალის ენობრივ კომპეტენციას, რითაც აფართოვებს საერთაშორისო ურთიერთობის კომპონენტს. კოლეჯი ახორციელებს საერთაშორისო პარტნიორობას და გამოცდილების გაზიარებას: ახორციელებს ერთობლივ სასწავლო და კვლევით პროექტებს. კოლეჯი ახორციელებს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამას.
6	**მიზანი:** ეფექტიანი და გამჭვირვალე მმართველობის სისტემის განვითარება. **მიზნის მიღწევის გზები:** 7.1. მმართველობის სისტემის თავსებადობის უზრუნველყოფა მოწინავე მიდგომებთან და გამოწვევებთან. 7.2. მმართველი სტრუქტურების პერსონალის უწყვეტი განათლება თანამედროვე მართვის საკითხებზე.	კოლეჯს აქვს ეფექტიანი მმართველობის მოწინავე მიდგომებთან და არსებულ გამოწვევებთან თავსებადი და გამჭვირვალე მმართველობის სისტემა. კოლეჯი ახორციელებს მენეჯერული რგოლის უწყვეტ განათლებას თანამედროვე გამოწვევებთან თავსებადი მართვის სისტემების პრობლემატიკაზე. კოლეჯში მოქმედებს თანამედროვე მმართველობითი სისტემების ღირებულებებზე დამყარებული მმართველობის სტრუქტურის შეფასებისა და ცვლილებების მექანიზმი.